ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 6962/01
12/07/2019

6962-01-2-201907121102

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 14 ივნისის N 8631 და 20 ივნისის N8994 წერილები, რომლებიც ეხება „მდ. მალთაყვადან მდ. სუფსამდე გზის მშენებლობა-ექსპლუატაციის **(საერთაშორისო ე–70 სენაკი–ფოთის (შემოვლითი) საავტომობილო გზის ნაწილი – სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზა - <u>ლოტი 2, ეტაპი 3</u>)** და „მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, ახალი ხიდის მიმდებარე უბნიდან მდ. მალთაყვამდე გზის მშენებლობა-ექსპლუატაციის“ **(საერთაშორისო ე–70 სენაკი–ფოთის (შემოვლითი) საავტომობილო გზის ნაწილი – სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზა - <u>ლოტი 2, ეტაპი 2</u>)** გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებს.

აღნიშნულ პროექტებზე 2018 წლის 12 ივლისს სამინისტროს მიერ გაიცა შესაბამისი სკოპინგის დასკვნები. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის ე–70 სენაკი–ფოთის (შემოვლითი) საავტომობილო გზის სარფის (მდინარე მალთაყვიდან მდინარე სუფსამდე) თურქეთის რესპუბლიკის საზღვარის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ სკოპინგის დასკვნა N17 (ბრძანება N 2-549) და ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის ე–70 სენაკი–ფოთის (შემოვლითი) საავტომობილო გზის სარფის (მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე, ახალი ხიდის მიმდებარე უბნიდან მდინარე მალთაყვამდე) თურქეთის რესპუბლიკის საზღვარის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ სკოპინგის დასკვნა N18 (ბრძანება N 2-550).

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშები არ მოიცავს N17 (07.07.2018) და N18 (07.07.2018) სკოპინგის დასკვნებში მითითებულ კონკრეტულ საკითხებს და კვლევებს, კერძოდ:

- N17 (07.07.2018) სკოპინგის დასკვნაში მითითებულია, რომ ვინაიდან საპროექტო ტერიტორია უშუალო სიახლოვესაა ზურმუხტის ქსელის კანდიდატ უბანთან, „მდ. მალთაყვადან მდ. სუფსამდე გზის მშენებლობა-ექსპლუატაციის“ <u>**გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასება, ე.წ. „მიზანშეწონილობის შეფასება“.**</u> გზშ-ის ანაგრიშს თან არ ახლავს აღნიშნული შეფასება. ანგარიშში მოცემულია მხოლოდ ზურმუხტის ქსელის ზოგადი დახასიათება, შესაბამისად, აღნიშნული არ პასუხობს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

- ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასებას, ე.წ. „მიზანშეწონილობის შეფასებას“ არ მოიცავს, აგრეთვე „მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, ახალი ხიდის მიმდებარე უბნიდან მდ. მალთაყვამდე გზის მშენებლობა-ექსპლუატაციის“ გზშ-ის ანგარიშშიც, რომელიც განსაზღვრული იყო N18 (07.07.2018) სკოპინგის დასკვნის მიხედვით;
- სკოპინგის დასკვნების მიხედვით სავალდებულოა ჩატარდეს „ზურმუხტის ქსელის“ კანდიდატ საიტზე ე.წ. „მიზანშეწონილობის შეფასება”, სადაც ასახული უნდა იქნას, მოსალოდნელი ზეგავლენა სათანადო დასაბუთებით, შემარბილებელი, ზემოქმედების თავიდან აცილებისა და საკომპენსაციო ქმედებები, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადებული საკონსერვაციო გეგმა. ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ ზზშ-ში არსებული ჰაბიტატების და სახეობების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ცხრილის სახით, სადაც ასახული უნდა იქნეს თითოეულ ჰაბიტატზე და თითოეულ სახეობაზე შესაძლო ზემოქმედება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებები. ჰაბიტატებზე და გავრცელებულ სახეობებზე ზემოქმედების არარსებობის შემთხვევაში, ზზშ-ში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დასაბუთება;
- საერთაშორისო მნიშვნელობის ე–70 სენაკი–ფოთის (შემოვლითი) საავტომობილო გზის სარფის (მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე, ახალი ხიდის მიმდებარე უბნიდან მდინარე მალთაყვამდე) თურქეთის რესპუბლიკის საზღვრის მონაკვეთის N 18 (07.07.2018) სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ს ანგარიშში განხილული უნდა ყოფილიყო რადარის განთავსების საკითხი. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში მომცემული უნდა ყოფილიყო ინფორმაცია მშენებარე ანძისა და საპროექტო გზის შორის ურთიერთკავშირის შესახებ (GIS კოორდინატების და მანძილების მითითებით). ამავე დასკვნის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ გამოიკვეთა, რომ საპროექტო გზაზე ან მის უშუალო სიახლოვეს იგეგმება აღნიშნული ანძის განთავსება, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისთვის წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და ანძის ოპერატორ/მფლობელ კომპანიას შორის. აღნიშნული ინფორმაცია და შეთანხმება არ ერთვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას „მდ. მალთაყვადან მდ. სუფსამდე გზის მშენებლობა-ექსპლუატაციის **(საერთაშორისო ე–70 სენაკი–ფოთის (შემოვლითი) საავტომობილო გზის ნაწილი – სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზა - <u>ლოტი 2, ეტაპი 3</u>)** და „მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, ახალი ხიდის მიმდებარე უბნიდან მდ. მალთაყვამდე გზის მშენებლობა-ექსპლუატაციის“ **(საერთაშორისო ე–70 სენაკი–ფოთის (შემოვლითი) საავტომობილო გზის ნაწილი – სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზა - <u>ლოტი 2, ეტაპი 2</u>)** პროექტებზე და გიბრუნებთ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე